წერილის ნომერი: **46-462319997**
თარიღი: **18/07/2023**

ადრესატი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

ბატონო ირაკლი,

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის პოლიტიკის რაციონალურად წარმართვისა და შესაბამისად, ადგილობრივ ბიუჯეტში თანხების მობილიზების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“. განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ და 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი“ ქვეპუნქტებთან და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე-13 მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც მერის წარდგინებით, საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა.

საპრივატიზაციო ნუსხაში დამტკიცებული ობიექტების სრულად პრივატიზების შეთხვევაში ადგილობრივ ბიუჯეტში მისაღები მინიმალური თანხა შეადგენს 254 384 ლარს.

შესაბამისად, წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს და გთხოვთ, განიხილოთ საკრებულოს სხდომაზე.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი ვალერი ყაჭეიშვილი.

დანართი zip ფაილი.

პატივისცემით,

დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი